

მასტერკლასი ფიზიკაში

მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართვამ გაზარდა მოთხოვნა მასწავლებელთა მიმართ, ამასთან გამოკვეთა არსებული პრობლემები. არსებული გამოცდილების გაზიარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროფესიული განვითარებისთვის. სქემის მიხედვით დადგენილია სამოდულო გაკვეთილის ტიპებიც. ეს არის:

1. ინტეგრირებული გაკვეთილი;
2. პრობლემაზე ორიენტირებული გაკვეთილი;
3. გამჭოლი კომპეტენციების განვითარებაზე ორიენტირებული გაკვეთილი;
4. ინოვაციური გაკვეთილი.

(მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემის გზამკვლევი მეორე ნაწილი , გვ.13.)

გთავაზობთ 4-საათიან მასტერკლასს, რომელიც განკუთვნილია საბაზო და საშუალო საფეხურის ფიზიკის (წამყვანი, უფროსი და პრაქტიკოსი) მასწავლებლებისათვის. მასტერკლასზე წარმოდგენილი და განხილული იქნება ორი ტიპის სამოდულო გაკვეთილი:

- 1.ინოვაციური გაკვეთილი; (მე-7 კლასი - **არქიმედეს ძალა**)
- 2.ინტეგრირებული გაკვეთილი; (ფიზიკა-მათემატიკა; მე-9 კლასი; **გრაფიკები თანაბარაჩქარებული მოძრაობის დროს**)

მასტერკლასის შედეგად:

- მონაწილეები გაეცნობიან ინოვაციური და ინტეგრირებული გაკვეთილის დაგეგმვის და ჩატარების პრინციპებს კონკრეტულ მაგალითზე;
- გაეცნობიან მოსწავლეთა შეფასების ობიექტური კრიტერიუმების შედგენის ხერხებს;
- გაეცნობიან გაკვეთილზე დაკვირვების ძირითად პრინციპებსა და შეფასების წარმოებას მათ საფუძველზე.
- გაეცნობიან და პრაქტიკულად განახორციელებენ შეფასების სქემების/რუბრიკებისა და დაკვირვების ოქმების შედგენას;
- იმსჯელებენ თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ძლიერ მხარეებზე, საფროთხეებზე და მათი თავიდან აცილების გზებზე;